



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/224

28 ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული  
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის  
მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 20 მაისის  
№2/128 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული  
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების  
თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს  
გენერალური დირექტორის 2016 წლის 20 მაისის №2/128 ბრძანების დანართი №2-ით  
გათვალისწინებულ „დიდნაურის“ ნაქალაქარის ძეგლის საზღვრებში.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი  
თვის ვადაში ამ ბრძანების დანართში მითითებული მონაცემების საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით  
შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან  
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში  
(მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიპე

„დიდნაურის“ ნაქალაქარი - ძეგლის საზღვარი

